ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-102

2010 წლის 16 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ქ.ქობულეთში გადასასვლელზე სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთში რუსთაველის ქუჩა №-249-დან აღმაშენებლის გამზირის №-316-ს შორის გადასასვლელს მიენიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული მებრძოლის ვახტანგ გორგასლის ორდენოსან თემურ ჯორბენაძის სახელი.

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა (გ. ჭიპაშვილი) აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე